

## თავი II

### 2018 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

#### ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2018 წლის მარტში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.6 პროცენტი, ხოლო I კვარტალის საშუალო რეალურმა ზრდამ 5.2 პროცენტი შეადგინა. რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი იანვარში 4.4 პროცენტი, ხოლო თებერვალში 5.5 პროცენტი დაფიქსირდა.

#### ფასები

2018 წლის მარტში წლიურმა ინფლაციამ 2.8 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასების 3.9 პროცენტითი მატება დაფიქსირდა, რაც 1.19 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში; ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 6.2 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0.42 პროცენტული პუნქტით აისახა; საცხოვრებელი, წყალი, ელ. ენერჯია, აირი: ფასები გაიზარდა 4.7 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაში 0.39 პროცენტული პუნქტი შეადგინა; ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 3.7 პროცენტით, რაც 0.3 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიან ინდექსის ზრდაში.

#### გაცვლითი კურსი

2018 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ რყევებით ხასიათდებოდა, ხოლო მარტის თვეში გამყარების ტენდენცია დაფიქსირდა. 2018 წლის მარტში 2017 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 6.9 პროცენტით გამყარდა და 2.41 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 4.7 პროცენტით.

#### მონეტარული აგრეგატები

2018 წლის მარტში 2017 წლის მარტთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 17.3 პროცენტით გაიზარდა და 17 756.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 28.5 პროცენტით გაიზარდა და 8 225.2 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2018 წლის მარტში მთლიანი დეპოზიტები 18.9 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 39.4 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 9.1 პროცენტით გაიზარდა.

2018 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 1.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 62.1 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში 3.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 55.7 პროცენტი შეადგინა.

#### საგარეო სექტორი

2018 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2 823.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 23.3 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 740.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს (28.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2 083.4 მლნ აშშ დოლარს (21.6 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-მარტში 1 343.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2018 წლის იანვარ-მარტის მთლიანი საქონელბრუნვის 14.3 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს რუსეთი 11.0 და აზერბაიჯანი 9.6 პროცენტული წილებით.

ექსპორტში 13.3 პროცენტით პირველ ადგილზე რუსეთია, შემდეგ მოდიან თურქეთი 12.6 პროცენტით, აზერბაიჯანი 10.3 პროცენტით, ბულგარეთი 8.5 პროცენტით და სომხეთი 7.4 პროცენტით.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 14.9 პროცენტით, შემდეგ მოდიან რუსეთი 10.2 პროცენტით, აზერბაიჯანი 9.3 პროცენტით, ჩინეთი 8.8 პროცენტით და ა.შ.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 16.0 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 11.5 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 8.8 პროცენტი, ყურძნის ნატურალური ღვინოები 5.7 პროცენტი და მინერალური და მტკნარი წყლები 4.3 პროცენტი.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 9.0 პროცენტთან წილი უკავია. შემდეგ მოდიან: ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები 6.1 პროცენტი, მსუბუქი ავტომობილები 5.7 პროცენტი და სპილენძის მადნები და კონცენტრატები 3.8 პროცენტი.

2018 წლის იანვარ-მარტში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 820.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 27.6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 209.4 მლნ აშშ დოლარი იყო (31.4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 610.7 მლნ აშშ დოლარი (26.4 პროცენტით მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 976.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2017 წლის იანვარ-მარტთან შედარებით 30.0 პროცენტით მეტი). აქედან ექსპორტი 303.0 მლნ აშშ დოლარი (48.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 673.9 მლნ აშშ დოლარი იყო (23.2 პროცენტით მეტი).

### **ფულადი გზავნილები**

2018 წლის პირველ კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამისი პერიოდთან შედარებით 22.8 პროცენტით გაიზარდა და 301.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია ისრაელიდან - 65.3 პროცენტით, იტალიიდან - 42.0 პროცენტით, საბერძნეთიდან - 27.6 პროცენტით, თურქეთიდან - 25.2 პროცენტით და რუსეთიდან 6.3 პროცენტით.

### **ტურიზმი**

2018 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს 1 464 ათასი ვიზიტორი ეწვია (2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ვიზიტორების რაოდენობა 1 266 ათასს შეადგენდა), რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 15.6 პროცენტით აღემატება.

ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 560.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.8 პროცენტით (125.5 მლნ აშშ დოლარით მეტი) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

## **ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ**

2018 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 627 579.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 795 275.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.4%.

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 347 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 449 931.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104.4%.

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 137 848.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 187 944.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 136.3%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 142 731.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 157 400.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 110.3%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 55 203.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (27 700.0 ათასი ლარი) 199.3%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 4 905.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 000.0 ათასი ლარი) 122.6%-ია.

**2018 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების  
შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>შემოსავლები</b>	<b>2,627,579.7</b>	<b>2,795,275.8</b>	<b>167,696.1</b>	<b>106.4</b>
<b>გადასახადები</b>	<b>2,347,000.0</b>	<b>2,449,931.1</b>	<b>102,931.1</b>	<b>104.4</b>
საშემოსავლო გადასახადი	803,000.0	779,680.2	-23,319.8	97.1
მოგების გადასახადი	235,000.0	235,669.7	669.7	100.3
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,004,000.0	1,064,712.8	60,712.8	106.0
აქციზი	328,500.0	305,314.2	-23,185.8	92.9
იმპორტის გადასახადი	14,500.0	18,979.5	4,479.5	130.9
ქონების გადასახადი	3,000.0	6,781.0	3,781.0	226.0
სხვა გადასახადი	-41,000.0	38,793.8	79,793.8	-94.6
<b>გრანტები</b>	<b>137,848.7</b>	<b>187,944.1</b>	<b>50,095.4</b>	<b>136.3</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>142,731.0</b>	<b>157,400.6</b>	<b>14,669.6</b>	<b>110.3</b>

**ინფორმაცია საქართველოს 2018 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შემოსავლების შესრულების შესახებ**

2018 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 427 049.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 635 060.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 108.6%.

**2018 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების  
შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>შემოსავლები</b>	<b>2,427,049.7</b>	<b>2,635,060.2</b>	<b>208,010.5</b>	<b>108.6</b>
გადასახადები	2,236,000.0	2,380,010.9	144,010.9	106.4
გრანტები	127,848.7	187,890.9	60,042.2	147.0
სხვა შემოსავლები	63,201.0	67,158.4	3,957.4	106.3

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 236 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 380 010.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.4%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 716 540.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (695 000.0 ათასი ლარი) 103.1%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 235 669.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (235 000.0 ათასი ლარი) 100.3%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 064 712.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 004 000.0 ათასი ლარი) 106.0%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 305 314.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (328 500.0 ათასი ლარი) 92.9%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 18 979.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 500.0 ათასი ლარი) 130.9%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 38 793.8 ათასი ლარი.

**2018 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

	<i>ათასი ლარი</i>			
დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>გადასახადები</b>	<b>2,236,000.0</b>	<b>2,380,010.9</b>	<b>144,010.9</b>	<b>106.4</b>
საშემოსავლო გადასახადი	695,000.0	716,540.9	21,540.9	103.1
მოგების გადასახადი	235,000.0	235,669.7	669.7	100.3
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,004,000.0	1,064,712.8	60,712.8	106.0
აქციზი	328,500.0	305,314.2	-23,185.8	92.9
იმპორტის გადასახადი	14,500.0	18,979.5	4,479.5	130.9
სხვა გადასახადი	-41,000.0	38,793.8	79,793.8	-94.6

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 127 848.7 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 187 890.9 ათასი ლარი (მათ შორის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები - 14 561.2 ათასი ლარი), ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 147.0%.

	<i>ათასი ლარი</i>	
დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი	
<b>გრანტები</b>	<b>187,890.9</b>	
<b>ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები</b>	<b>137,680.1</b>	
<b>საინვესტიციო გრანტები</b>	<b>25,648.6</b>	
SDC	1,001.0	
IFAD	54.4	
GEF	236.2	
EU	2,219.0	
SIDA	3,392.5	
MCC	18,438.6	

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
KfW	306.9
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	10,001.0
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	14,561.2

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 63 201.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 67 158.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.3%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 18 877.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (18 500.0 ათასი ლარი) 102.0%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 17 879.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 000.0 ათასი ლარი) 119.2%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდები** - 61.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100.0 ათასი ლარი) 61.4%-ს შეადგენს.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 936.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 400.0 ათასი ლარი) 27.6%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 19 010.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 501.0 ათასი ლარი) 108.6%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 18 273.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16 845.0 ათასი ლარი) 108.5%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 50.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (115.0 ათასი ლარი) 44.2%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 12 796.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 500.0 ათასი ლარი) 111.3%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 393.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (430.0 ათასი ლარი) 91.5%-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი - 4 141.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 170.0 ათასი ლარი) 99.3%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 468.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (300.0 ათასი ლარი) 156.2%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 299.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (250.0 ათასი ლარი) 119.8%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 123.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (80.0 ათასი ლარი) 154.5%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 737.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (656.0 ათასი ლარი) 112.4%-ია. მათ შორის:
    - საქონლის რეალიზაციიდან - 19.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16.0 ათასი ლარი) 122.0%-ია;
    - მომსახურების გაწევიდან - 717.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (640.0 ათასი ლარი) 112.1%-ია;
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 12 881.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13 200.0 ათასი ლარი) 97.6%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 207.7 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 16 181.0 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 000.0 ათასი ლარი) 115.6%-ია.

**2018 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის  
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>63,201.0</b>	<b>67,158.4</b>	<b>3,957.4</b>	<b>106.3</b>
<b>შემოსავლები საკუთრებიდან</b>	<b>18,500.0</b>	<b>18,877.5</b>	<b>377.5</b>	<b>102.0</b>
პროცენტები	15,000.0	17,879.3	2,879.3	119.2
დივიდენდები	100.0	61.4	-38.6	61.4
რენტა	3,400.0	936.8	-2,463.2	27.6
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>17,501.0</b>	<b>19,010.7</b>	<b>1,509.7</b>	<b>108.6</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>16,845.0</b>	<b>18,273.5</b>	<b>1,428.5</b>	<b>108.5</b>
სალიცენზიო მოსაკრებლები	115.0	50.8	-64.2	44.2
სანებართვო მოსაკრებლები	11,500.0	12,796.5	1,296.5	111.3
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	430.0	393.3	-36.7	91.5
სახელმწიფო ბაჟი	4,170.0	4,141.3	-28.7	99.3
საკონსულო მოსაკრებელი	300.0	468.5	168.5	156.2
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	250.0	299.61	49.6	119.8
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	80.0	123.6	43.6	154.5
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>656.0</b>	<b>737.2</b>	<b>81.2</b>	<b>112.4</b>
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	16.0	19.5	3.5	122.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	640.0	717.7	77.7	112.1
<b>სანქციები (ჯარიმები და საურავები)</b>	<b>13,200.0</b>	<b>12,881.5</b>	<b>-318.5</b>	<b>97.6</b>
<b>ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა</b>		<b>207.7</b>	<b>207.7</b>	
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>14,000.0</b>	<b>16,181.0</b>	<b>2,181.0</b>	<b>115.6</b>

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 33 222.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11 200.0 ათასი ლარი) 296.6%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 5 403.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4 000.0 ათასი ლარი) 135.1%-ია.